პლაკატი მხატვარ ი. ბერკოვსკისა.

ჩვენი შრომითი საჩუქრები

ეშელონები — გეგმის გადამეტებით

ტყიბული. (ააკ. კორ.). აქ ფართოდ გაჩაღდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-ე წლისთავისა და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება, წინ მიდის დასავლეთის შახტის მეუთე საეკსპლოატაციო უბანი. აქ მუშაობს სახელგანთქმული მეშახტის ს. სოფრომაძის კომპლექსური ბრიგადა. თვითეული წევრი ცვლაში ნორმის ზევით ანგრევს 2-2,5 ტონა „შავ ოქრს". ამ დღეებში შეჯამეს ბრიგადის ცხრა თვის მუშაობის შედეგები. გამოირკვა, რომ ბრიგადას განვლილ პერიოდში კეგმის გადამეტებით 4 ეშელონი სათბობი ამოუღია.

გ. ვერულაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადა პირველი ოქტომბრიდან გადავიდა შრომის ორგანიზაციის ახალ, პროგრესულ ფორმაზე — სადღეღამისო ბრიგადული სისტემით მუშაობაზე. შრომის ეს მოწინავე მეთოდ, რომლის ინიციატორები დონეცელი მეშახტეები არიან, პირველად ინერგება დასავლეთის შახტში. ნოვატორებისა და სამთო სპეციალისტების აზრით, ეს სიახლე სულ მცირე 10-12 პროცენტით გაზრდის საკოქსე ქვანახშირის მოპოვებას.

მელიორატორეგის წარმატება

ფოთი. („კომ". კორ.). კოლხიდის მანქანა-ექსკავატორთა სადგურის კოლექტივმა განვლილ 9 თვეში გათვალისწინებული 2.050 კუბმეტრის ნაცვლად შეასრულა 2.260 კუბმეტრი მიწის სამუშაო და შრომის ნაყოფიერება საშუალოდ 11,1 პროცენტით აამაღლა. დღესასწაულის დღისთვის ისინი ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებენ სამშობლოს.

დეკემბრის ანგარიშში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქიმიური ქარხანა, რომელიც სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის საჭიროებისათვის ათზე მეტ სხვადასხვა სახის პროდუქციას უშვებს, მტკიცედ ჩადგა ქალაქის მოწინავე საწარმოთა რიგებში.

ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ი. ლილაძე) ცხრა თვეში შეასრულა საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების თერმეტი თვის დავალება. განვლილ პერიოდში აქ შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 4 პროცენტით გადიდდა, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება 8 პროცენტით შეამცირეს. ნედლეულისა და დამხმარე მასალების დაზოგვით რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეტანილია 9.000 მანეთი.

ქიმიკოსების გადაწყვეტილებაა წლიური გეგმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის შეასრულონ და სამშობლოს მისცენ ასეულ ათასობით მანეთის ზეგეგმითი ქიმიური ნაწარმი.

რკინიგზელთა რეკორდი

ხაშური. წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-ე წლისთავის მზადებაში ხაშურელმა რკინიგზელებმა თავისებური რეკორდი დაამყარეს: 1 ოქტომბრისათვის დატვირთეს 1908 ვაგონი. გადმოტვირთეს 5.950 ვაგონი, საგრძნობლად შეამცირეს სატრანზიტო მატარებელთა დგომის დრო და 2.091 მძიმე წონის მატარებლით დანიშნულებისამებრ ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 1.191 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

ახალი ჭოსავლის შაქარი

საქართველოს აგარის შაქრის კომბინატი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა ახალი სეზონის დაწყებას. რემონტის პერიოდში დადგმულ იქნა ავტომატური ცენტროფუგები.

შაქრის კომბინატმა 1 ოქტომბერს დაიწყო ახალი მოსავლის შაქრის ჭარხლის გადამუშავება და 4 ოქტომბრისათვის საშობლოს მისცა 7.470 ფუთი მაღალხარისხოვანი ფხვნილი შაქარი.

შაქრის კომბინატის კოლექტივი ჩაბმულია საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში და პიროობას იძლევა, რომ ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვებს ათასობით ფუთ შაქარს.

ვ. ბურგენიძე.

მოგება — ზარალის ნაცვლად

ცხაკაია. („კომ." კორ.). ცხაკაიაში არსებობს საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემის საშენ მასალათა კომბინატი, რომელსაც სპეციფიკური პირობების გამო წელს დანიშნული აქვს სახელმწიფო დოტაცია. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-ე წლისთავისა და საქართველოს კპ XXII ყრილობისათვის მზადების დაწყების შემდეგ კომბინატის კოლექტივმა იმდენად გააუმჯობესა მუშაობა, რომ განვლილ 9 თვეში დაგეგმილი ზარალის ნაცვლად 5.000 მანეთი მოგება მოგვცა და თან საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფო დავალებები.

კომბინატის კოლექტივმა სულ 439.000 მანეთის საშენი მასალები გამოუშვა. აქედან აგურის გამოშვების 9 თვის გეგმა შესრულებულია 109 პროცენტით, კირისა — 108,1 პროცენტით და დაფქული კირისა — 107,7 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულზე მეტად გაზრდილია 3,5 პროცენტით და გაწეულია 31 ტონა საწვავის ეკონომია.

ს. კუჭავა.

ДОРОГОЕ ПРЕДВОСХИЩАЙ ДИАД Оქტომბერს!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ПРОЛЕТარიები ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

КОМУНИСТИ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 243 (12755) | ხუთშაბათი, 17 ოქტომბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-ე წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-ე წლისთავს!

2. დიდება დიდ ოქტომბერს, რომელმაც დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმის დამსხვრევისა და კომუნიზმის დამკვიდრების ერა!

3. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მთელი ძალები მოახმარეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის, პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებას!

წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

4. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილ დროშას, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მძლავრ იდეურ იარაღს!

5. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

6. მგზნებარე სალამი მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მებრძოლ ავანგარდს!

7. გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს კომუნისტთა დიადი არმიის ერთიანობასა და შეკავშირებას მოსკოვის თაობრების დეკლარაციისა და განცხადების საფუძველზე!

გაუმარჯოს მარად ცოცხალ, ყოვლისმძლე მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას!

8. უფრო მაღლა ავწიოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა!

9. დაე მტკიცდებოდეს ყველა ქვეყნის მშრომელთა მოქმედების ერთიანობა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში!

10. თავისუფლება რეაქციის მსხვერპლთ, კაპიტალის ტუსაღებს!

11. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ კოლონიური მონობის სამარცხვინო სისტემის სრული და საბოლოო ლიკვიდაციისათვის, ყველა ფორმის იმპერიალისტური დამოკიდებულების წინააღმდეგ!

12. ყველა ქვეყნის ხალხებო! მოსკოვის ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ პირველი რეალური ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე. უფრო აქტიურად იბრძოლეთ საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, მტკიცე და ურღვევი მშვიდობის უზრუნველყოფისათვის დედამიწაზე!

13. მსოფლიოს ხალხებო! იყავით ფხიზელნი, ამხილეთ ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკები! გააძლიერეთ ბრძოლა მონოპოლიათა მოძალეობის, რეაქციისა და მილიტარიზმის თარეშის წინააღმდეგ!

14. ყველა ქვეყნის ხალხებო! მოითხოვეთ გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება და დასავლეთ ბერლინის გადაქცევა თავისუფალ დემილიტარიზებულ ქალაქად!

15. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ სისტემას — საერთაშორისო მუშათა კლასის პირმშოს, სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით მიმავალ თავისუფალ, სუვერენულ ხალხთა მძლავრ თანამეგობრობას!

გაუმარჯოს სოციალიზმის ყველა ქვეყნის ხალხთა ძმურ მეგობრობასა და ერთობას!

16. ძმური სალამი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დიდი ხალხების მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

17. ძმური სალამი ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ალბანეთის ხალხთა მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

18. ძმური სალამი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ხალხთა მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

19. ძმური სალამი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ხალხთა მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

20. ძმური სალამი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, იბრძვიან თავიანთი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის ხალხთა მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

21. ძმური სალამი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა და გერმანელი ხალხების მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას!

22. ძმური სალამი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, იბრძვიან თავიანთი ქვეყნის მშვიდობიანი გაერთიანებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და კორეის ხალხთა მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

23. ძმური სალამი კუბის გმირ ხალხს, რომელიც სოციალიზმს აშენებს, თავდადებით იცავს თავისი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ამერიკელ იმპერიალისტთა აგრესიული ხელყოფისაგან! გაუმარჯოს კუბის რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და კუბელი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

24. მთელი მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ, რომ შეწყდეს იმპერიალისტთა პროვოკაციები რევოლუციური კუბის წინააღმდეგ!

მოითხოვეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა წრეებმა ხელი აიღონ თავისუფლებისმოყვარე კუბელი ხალხის წინააღმდეგ მტრულ მოქმედებაზე, კონტრრევოლუციური ელემენტების მხარდაჭერაზე — უამისოდ არ შეიძლება მიღწეულ იქნას საერთაშორისო დაძაბულობის ნამდვილი შენელება!

ხელები შორს კუბისაგან!

25. ძმური სალამი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და მონღოლი ხალხის მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

26. ძმური სალამი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხთა მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

27. ძმური სალამი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ხალხთა მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

28. ძმური სალამი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

29. ძმური სალამი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა მარადიულ, ურღვევ მეგობრობასა და თანამშრომლობას!

30. მხურვალე სალამი დიდ ინდოელ ხალხს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

31. მხურვალე სალამი დიდ ინდონეზიელ ხალხს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

32. მხურვალე სალამი სამხრეთ ვიეტნამის მამაც ხალხს, რომელიც განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწევა გამყიდველი ანტიხალხური რეჟიმისა და ამერიკის იმპერიალიზმის შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ, თავისი სამშობლოს განვითარებისათვის დემოკრატიულ საწყისებზე!

33. მხურვალე სალამი სამხრეთ კორეის მამაც ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის!

34. მხურვალე სალამი ლაოსის ხალხს, რომელიც დაადგა ნეიტრალური, დამოუკიდებელი და დემოკრატიული ლაოსის შექმნის გზას!

35. მხურვალე სალამი ბირმის, ცეილონის, კამბოჯის, ნეპალის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის და თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის!

36. მხურვალე სალამი ავღანელ ხალხს! დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა!

37. მხურვალე სალამი არაბეთის ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისა და თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის!

38. მხურვალე სალამი არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხს! დაე ვითარდებოდეს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის.

39. მხურვალე სალამი გმირ ალჟირის ხალხს, რომელიც დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოს აშენებს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის ხალხებისა და სახალხო დემოკრატიული ალჟირის რესპუბლიკის ხალხის მეგობრობა და თანამშრომლობა!

40. მხურვალე სალამი აფრიკის სახელმწიფოთა ხალხებს, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური მონობისაგან და თავდადებულად იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის!

41. მხურვალე სალამი აფრიკის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიური მონობისაგან განთავისუფლებისათვის, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

42. მხურვალე სალამი ლათინური ამერიკის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის!

43. გაუმარჯოს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, იტალიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობის ინტერესებისათვის!

44. მხურვალე სალამი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელებს და მთელ პროგრესულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან მილიტარიზმის და ფაშიზმის აღორძინების წინააღმდეგ!

45. ძმური სალამი ესპანეთისა და პორტუგალიის ხალხებს, რომლებიც მამაცურად იბრძვიან ფაშისტური რეჟიმების წინააღმდეგ, დემოკრატიული თავისუფლებებისათვის!

46. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას!

47. დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხისა და შვეიცის, ნორვეგიის, დანიის, ისლანდიის ხალხთა მეგობრული ურთიერთობა!

48. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას!

49. მხურვალე სალამი იაპონელ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის, ამერიკის სამხედრო ბაზების წინააღმდეგ, მეზობელ სახელმწიფოებთან მშვიდობისა და მეგობრობისათვის!

50. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას!

51. გაუმარჯოს გამარჯვებათა დიდებით მოსილ მამაც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს!

52. საბჭოთა მეომრებო! მიაღწიეთ ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, მუდამ ფხიზლად და მზად იყავით ყოველი აგრესორის შესამუსრავად!

53. გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევ კავშირს!

54. გაუმარჯოს და მტკიცდებოდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ერთიანობა და ძმური მეგობრობა!

55. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მთელი ძალღონე მოახმარეთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას!

56. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო ფართოდ გავშალოთ საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება! ვადამდე შევასრულოთ შვიდწლედის მეხუთე წლის გეგმა!

57. დიდება კომუნისტური შრომის კოლექტივებსა და დამკვრელებს, წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს!

58. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ სოციალისტური საკუთრება — ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველი!

59. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ კომუნიზმის მშენებელთა პრინციპის განუხრელი განხორციელებისათვის: ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს!

60. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ბეჯითად ზარდეთ შრომის ნაყოფიერება! იბრძოლეთ საწარმოო სიმძლავრეებისა და სხვა შინაგანი რეზერვების რაც შეიძლება სრულად გამოყენებისათვის, მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის!

61. მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! განახორციელეთ კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, უფრო გაბედულად დანერგეთ წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკის მიღწევები და მოწინავე გამოცდილება!

62. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სახელმწიფო სახსრების ეკონომიური ხარჯვისათვის! იბრძოლეთ უყაირათობის, ზედმეტობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ!

63. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! იბრძოლეთ კაპიტალურ დაბანდებათა ყველაზე გონივრული და ეკონომიური გამოყენებისათვის! მთელი რესურსები გამოიყენეთ უმნიშვნელოვანესი ასამუშავებელი მშენებლობებისათვის!

64. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ქიმიას დიდი როლი აკისრია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებაში. იბრძოლეთ ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარებისათვის!

65. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ მინერალური სასუქების წარმოებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა წარმოების მკვეთრად გასაადიდებლად სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის! უფრო სწრაფად აამუშავეთ და აითვისეთ ქიმიურ საწარმოთა ახალი სიმძლავრენი!

66. საბჭოთა მეტალურგებო და მაღაროელებო! გაადიდეთ მადნის ამოღება, თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, მილების, ფერადი და იშვიათი ლითონების წარმოება!

67. საბჭოთა ენერგეტიკოსებო, ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების მშრომელებო და მემონტაჟეებო! უზრუნველყავით ელექტროენერგიის წარმოების წინგამსწრები ტემპი, შეამცირეთ ენერგოსისტემების მშენებლობისა და ექსპლოატაციის ღირებულება!

68. მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის მუშაკებო! დაუცხრომლად იბრძოლეთ ტექნიკური პროგრესისა და წარმოების სპეციალიზაციისათვის! უფრო სწრაფად აღჭურვეთ სახალხო მეურნეობა უახლესი მანქანებითა და ხელსაწყოებით!

69. ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკებო! მივცეთ მეტი ნავთობი და გაზი ჩვენს ქვეყანას!

70. საბჭოთა გეოლოგებო! უფრო სწრაფად აღმოაჩინეთ ჩვენი სამშობლოს აურაცხელი სიმდიდრენი!

71. ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ სამთო ტექნიკის მაქსიმალური გამოყენებისათვის! შეამცირეთ ქვანახშირის თვითღირებულება და გაუმჯობესეთ მისი ხარისხი!

72. საბჭოთა მშენებლებო! დააჩქარეთ სამშენებლო სამუშაოთა ტემპი და გაუმჯობესეთ მათი ხარისხი! აშენეთ კარგი, ლამაზი და ეკონომიური შენობები და ნაგებობანი!

73. საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკებო! განავითარეთ სამშენებლო ინდუსტრია! გაადიდეთ ცემენტის, ახალი საშენი მასალებისა და ასაწყობი კონსტრუქციების წარმოება!

74. ხე-ტყის, ხის დასამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის მუშაკებო! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მაღალი ხარისხის მეტი მერქანი, ავეჯი, ცელულოზა და ქაღალდი!

75. მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ საქონლისა და კვების პროდუქტების წარმოება, გააფართოეთ მათი ასორტიმენტი, გაუმჯობესეთ ხარისხი!

76. თევზის მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ თევზჭერა, გაუმჯობესეთ თევზის პროდუქტების ხარისხი და შეამცირეთ მათი თვითღირებულება!

77. საბჭოთა ტრანსპორტის მუშაკებო! აუმჯობესეთ და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვეთ ტრანსპორტი! შეამცირეთ ტვირთის გადატანის ვადები, უკეთ მოემსახურეთ მგზავრებს!

78. კავშირგაბმულობის მუშაკებო! განავითარეთ და სრულყავით კავშირგაბმულობის საშუალებანი! გააუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურება!

(დასასრული მე-2 გვ.)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-ე წლისთავისათვის

(დასასრული)

79. კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! გაუფრთხილდით მხვნელ-მთესველის ღირსებას! მტკიცედ იბრძოლეთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის! მიაღწიეთ ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის რენტაბელურ მუშაობას, მოწინავეთა დონემდე აიყვანეთ ჩამორჩენილი მეურნეობანი!

80. სახელი და დიდება სოფლის მეურნეობის მშრომელებს, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და მიყიდვის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი!

81. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! მარცვლის წარმოების გადიდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა! იბრძოლეთ მარცვლეული და სამარცვლე პარკოსანი კულტურების მოსავლიანობის აღმავლობისათვის!

82. კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მექანიზატორებო! უფრო გაბედულად დანერგეთ მექანიზაცია, მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, ბეჯითად ისწავლეთ, გაუფრთხილდით და კარგად გამოიყენეთ ტექნიკა!

83. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! ყოველნაირად გაფართოეთ სარწყავი მიწები, უკეთ გამოიყენეთ სარწყავი მიწების მდიდარი შესაძლებლობანი მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისათვის!

84. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! მიაღწიეთ ადგილობრივი და მინერალური სასუქების უფრო ეფექტიან გამოყენებას მარცვლეული, ტექნიკური და საკვები კულტურების მოსავლის გასადიდებლად!

85. კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! ყოველმხრივ განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა! განამტკიცეთ საკვები ბაზა, რაციონალურად გამოიყენეთ საკვები! გაადიდეთ ხორცის, რძის, კარაქის, კვერცხისა და სხვა პროდუქციის წარმოება!

86. უამირი მიწების მშრომელებო! შეუპოვრად აითვისეთ ახალი მიწების სიმდიდრე, გაადიდეთ მარცვლის, ხორცის, რძის წარმოება, უფრო დიდი წვლილი შეიტანეთ კომუნისტური მშენებლობის საერთო-სახალხო საქმეში!

87. კოლმეურნეებო! განავითარეთ საკოლმეურნეო დემოკრატია! კოლმეურნეობა კომუნიზმის სკოლაა გლეხობისათვის!

88. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მეურნეობის მუშაკებო! იბრძოლეთ მოსახლეობის მომსახურების მაღალი კულტურისათვის!

89. საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო! გააძლიერეთ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა მასებში! აღმოფხვრით ბიუროკრატიზმი, გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომელთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს!

90. მეცნიერებო და უმაღლეს სასწავლებელთა მუშაკებო! იბრძოლეთ მეცნიერების შემდგომი აყვავებისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის! ამზადეთ კომუნიზმის ეპოქის ღირსეული სპეციალისტები!

დიდება მოწინავე საბჭოთა მეცნიერებას!

91. დიდება საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მუშებს — შესანიშნავი კოსმოსური ხომალდების შემქმნელთ!

დიდება მამაც საბჭოთა კოსმონავტებს!

92. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო! იბრძოლეთ ნაწარმოებების პარტიულობისა და ხალხურობისათვის, მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის! უფრო მკაფიოდ ასახეთ კომუნიზმის მშენებელთა გმირული საქმეების სიდიადე და სილამაზე, ჩვენს ცხოვრებაში ახალი, კომუნისტური ურთიერთობის გამარჯვება!

93. პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, გამომცემლობათა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებო! იყავით პარტიის მებრძოლი თანაშემწენი კომუნიზმის გამარჯვებისათვის მის ბრძოლაში!

94. სახალხო განათლების მუშაკებო! აამაღლეთ ბავშვთა სწავლების ხარისხი, აღზარდეთ ისინი შრომისმოყვარეობის, კოლექტივიზმის, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით!

95. მედიცინის მუშაკებო! გაუმჯობესეთ მშრომელთა მომსახურება! დანერგეთ პრაქტიკაში მედიცინის მეცნიერების უახლესი მიღწევები!

96. გაუმარჯოს ჩვენს საერთო-სახალხო სოციალისტურ სახელმწიფოს!

97. გაუმარჯოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს — ხელისუფლების ნამდვილად სახალხო ორგანოებს!

დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატია!

98. გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

99. გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლებს!

100. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწეს და რეზერვს!

101. ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად ისწავლეთ მუშაობა და ცხოვრება კომუნისტურად!

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას!

102. პიონერებო და მოსწავლეებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, გიყვარდეთ და პატივი ეცით შრომას! ემზადეთ, რომ გახდეთ ლენინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლნი!

103. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში!

104. დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის სახელოვან მშენებელს, ქვეყნად მშვიდობისა და ყველა ადამიანის ბედნიერებისათვის მამაც მებრძოლს!

105. გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!

106. გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

107. გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

108. გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

109. გაუმარჯოს კომუნიზმს, რომელიც ყველა ხალხის მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას ამკვიდრებს დედამიწაზე!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

უზბეკეთის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტს

უზბეკეთის სსრ ყველა კომკავშირელს, ახალგაზრდა კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მეცნიერებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

დიდი ყურადღებით წავიკითხე თქვენი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი. კარგია, რომ უზბეკეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად დაისვა ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა მარცვლეულის წარმოების გადიდება სარწყავ მიწებზე. ახლა კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი იბრძვიან მარცვლეულის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. ჩვენმა ქვეყანამ უკვე 1970 წლისათვის მარცვლეულის წარმოება უნდა აიყვანოს სულ ცოტა 14 მილიარდ ფუთამდე. ამ ამოცანის გადაჭრაში თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ყველა მოძმე რესპუბლიკის მშრომელებმა. უზბეკეთი სარწყავი მიწათმოქმედების რესპუბ ლ ი კ ა ა. იგი ჩვენს ქვეყანას აძლევს ბამბასა და სხვა ძვირფას პროდუქტებს. ამასთანავე მას შეუძლია მნიშვნელოვანი რაოდენობით აწარმოოს ხალხისათვის მარცვლეულიც. და ეს არ უნდა მოხდეს მებამბეობის საზიანოდ. თქვენი მიწები, რესპუბლიკის კლიმატური პირობები საშუალებას გაძლევენ წლითიწლობით გაადიდოთ ბამბის წარმოება და ამასთანავე სულ უფრო მეტი მარცვალი მისცეთ სამშობლოს. უზბეკეთის სიამაყე იქნება ბამბაც, ბრინჯის ან ხორბლის თავთავიც, სიმინდის ტაროც. უზბეკეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მარცვალი განსაკუთრებით ძვირფასი გახდება იმიტომ, რომ მორწყვის პირობებში რესპუბლიკას შეუძლია მოიწიოს უზვი გარანტირებული მოსავალი.

უზბეკეთს ჰყავს ბამბის უზვი მოსავლის მოყვანის შესანიშნავი ოსტატები. რესპუბლიკის ბევრი მებამბის სახელი ცნობილია მთელ საბჭოთა ქვეყანაში. თქვენ შეგიძლიათ აგრეთვე სახელი გაუთქვათ თქვენს რესპუბლიკას სიმინდის, ბრინჯის, ხორბლისა და სხვა მარცვლეული კულტურების უზვი მოსავლით, კარგი მაგალითი გვიჩვენოთ მეცხოველეობის განვითარებაში.

ახლა უზბეკეთის პარტიულმა ორგანიზაციამ ამოცანად დაისახა მარცვლეულის წარმოება რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1964 წელს აიყვანოს 160 მილიონ ფუთამდე, 1965 წელს 220 მილიონამდე და 1970 წელს 400 მილიონ ფუთამდე. თუ სწორად იქნება გათვალისწინებული და მთლიანად გამოყენებული სარწყავი მიწათმოქმედების შესაძლებლობანი, უზბეკეთი არა თუ მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც შეასრულებს ამ ვალდებულებებს.

აქ ბევრი რამ დამოკიდებულია თქვენზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდა მშრომელებზე. თქვენ აჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას სარწყავი მიწების საშუალოდ ჰექტარზე 100 ცენტნერი მარცვლეულის მიღებისათვის. ეს მეტად მნიშვნელოვანი წამოწყებაა. თუ უზბეკეთში, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და მოლდავეთის სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში ამ თაოსნობას მხარს დაუჭერს ასიათასობით მექანიზატორი, ახალგაზრდა მხვნელ-მთესველი, მეცნიერი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, ჩვენ შეეძლებთ მოკლე ვადაში ბევრად გავადიდოთ გარანტირებული მარცვლეულის წარმოება სარწყავ მიწებზე. თქვენს წერილში დამაჯერებლად ამტკიცებთ ამ ამოცანის რეალობას.

უზბეკეთის კომკავშირულმა ორგანიზაციამ მოუწოდა ახალგაზრდა მშრომელებს იბრძოლონ იმისათვის, რომ სარწყავ ჰექტარზე საშუალოდ მოიწიონ სულ ცოტა 80 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, 60 ცენტნერი ბრინჯი და 40 ცენტნერი ხორბალი ან ბარდა. ეს, რა თქმა უნდა, დიდი, მაგრამ საკმაოდ რეალური ვალდებულებებია იმათთვის, ვისაც უყვარს მიწა, ვინც იცის აგროტექნიკა, ვისაც შეესწევს შრომის უნარი. თქვენ, ალბათ, ყველას გაგიგონიათ სახელოვანი უკრაინელი მესიმინდის მარკ ესტატეს-ძე ოზერნის სახელი. იგი იყო სიმინდის დიდი მცოდნე და 200 და 224 ცენტნერ მარცვალსაც კი იღებდა ჰექტარზე ერთი მოსავლით! მაგრამ თუ ასეთი მოსავალი მიღებულია დნეპროპეტროვსკის ოლქის პირობებში, უზბეკეთის მზის ქვეშ, უზბეკეთის შესანიშნავ მიწაზე, მორწყვის პირობებში საკმაოდ შესაძლებელია 100 ცენტნერი მარცვლის მიღება ჰექტარზე. და თქვენ გყავთ ბევრი შესანიშნავი ადამიანი, რომლებმაც პრაქტიკულად დაამტკიცეს ეს. მე მინახავს სიმინდი, რომელიც ლუბა ლიმ მოიწია ტაშკენტის მახლობლად. ლუბა ლის ბრიგადა ჰექტარზე იღებს 2 ათას ცენტნერ სიმინდის ღეროსა და ტაროს. ასეთი სიმინდი ჰექტარზე მოგვცემს ას და მეტ ცენტნერ მარცვალს.

თქვენს პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ჰექტარზე ორი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლას. შეიძლება, მაგალითად, დათესოთ და მოიწიოთ ბარდა, ხოლო შემდეგ იმავე მიწაზე მოიყვანოთ სიმინდი, თქვენ გაქვთ ორი მოსავლის მიღების გამოცდილება სხვა მონაცვლეობითაც: ხორბლისა და სიმინდის, ქერისა და სიმინდის და სხვ.

მაგრამ იმისათვის, რომ უზვი მოსავალი მიიღოთ და მით უფრო მოიწიოთ ორი მოსავალი, უნდა ისწავლოთ, კარგად, საქმის ცოდნით შეასრულოთ მთელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. უზბეკეთის ახალგაზრდობას ძნელი და რთული ამოცანების გადაჭრისას არაერთხელ უჩვენებია, რომ შესწევს უნარი იშრომოს თავდადებით, გაამრავლოს ჩვენი სამშობლოს სიმდიდრე, მტკიცედ შეასრულოს თავისი სიტყვა. დარწმუნებული ვარ, რომ ამჯერადაც ასე იქნება. თქვენ შეისწავლით მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილებას, მეცნიერების მიღწევებს და შეძლებთ კიდევ უკეთესად იშრომოთ, მოიწევთ იმ მოსავალს, რომელიც დასახულია თქვენს წერილში.

ძვირფასო ამხანაგებო! თქვენ კარგი ინიციატივა გამოიჩინეთ, როცა გადაწყვიტეთ გააჩაღოთ სოფლის ახალგაზრდა მშრომელთა შეჯიბრება ორი მოსავლის მიღებისათვის, სარწყავი მიწების საშუალოდ ჰექტარზე სულ ცოტა ასი ცენტნერი მარცვლეულის მიღებისათვის. ეს წამოწყება ახლა უნდა განამტკიცოთ სერიოზული მუშაობით, შეარჩიოთ და მოამზადოთ მიწები, თესლი, სასუქი, შეიძინოთ საჭირო ცოდნა, ერთი სიტყვით, კარგად იშრომოთ.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ სარწყავი მიწების საშუალოდ ჰექტარზე 100 ცენტნერი მარცვლეულის მიღებისათვის გაჩაღებული მოძრაობა მასობრივი გახდება და-უკვე 1964 წელს მოგვიტანს მდიდარ ნაყოფს.

გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს შრომაში სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ნ. ს. ხრუშჩოვი

1963 წლის 15 ოქტომბერი.

ნ. ს. ხრუშჩოვის დეპეშა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალ კანცლერს

ნ. ს. ხრუშჩოვმა ბონში დეპეშა გაუგზავნა ლ. ერჰარდს, რომელშიც ულოცავს მას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის პოსტზე არჩევას.

საბჭოთა მთავრობის მეთაური გამოთქვამს იმედს, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობა განვითარდება კეთილმეზობლური სულისკვეთებით და ეს წვლილი იქნება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

(საკდესი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

ძვირფასო ნიკიტა სერგეს-ძე!

ღრმად ჩავეწვდა გულში სიტყვა, რომელიც წარმოთქვით კრასნოდარში ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე. თქვენ საბჭოთა ხალხს დაუსახეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების მწვავე და დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, მოუწოდეთ ფართოდ გაშალოს ბრძოლა მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, გონივრულად, ყაირათიანად გამოიყენოს თითოეული ჰექტარი სარწყავი მიწა.

დიდი, საგმირო საქმეებისათვის გვრაზმავს პარტია. და კომკავშირელებისათვის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის არ არის და არც შეიძლება იყოს იმაზე უფრო ძვირფასი, დიდმნიშვნელოვანი, საპატიო, ვიდრე ის, რომ შეასრულოს პარტიის დავალება.

უზბეკეთის კომუნისტებმა, ყველა შშრომელმა გაითვალისწინეს თქვენ მიერ დასახული ამოცანათა უდიდესი მნიშვნელობა და ამ ამოცანათა შესრულებისათვის ბრძოლაში განსაზღვრეს თავიანთი მიზნა — აწარმოონ 1970 წლისათვის 400 მილიონი ფუთი მარცვლეული.

ჩვენ, კომკავშირელები, და რესპუბლიკის მთელი ახალგაზრდობა პიროდას გაძლევთ, რომ ღირსეულ წვლილს შევიტანთ ამ მაღალი და საპატიო მიზნის მიღწევაში. სწორედ იმიტომ შეიკრიბეთ ჩვენ უზბეკეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომ განვსაზღვროთ, რა უნდა იღონოს რესპუბლიკის ახალგაზრდობამ უზბეკეთის დიდი პურისათვის ბრძოლაში. ჩვენ გულდასმით და ყოველმხრივ ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ მთელი სოფლის ახალგაზრდობა დავრაზმოთ იმისათვის ბრძოლაში, რომ მოიწიოს წელიწადში ორი მოსავალი, ასი ცენტნერი მარცვლეული ჰექტარზე.

ეს იოლი ამოცანა როდია, მაგრამ შეეძლებთ მის შესრულებას. უკვე ახლა ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო მეურნეობათა და მოწინავეთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უზბეკეთში ერთსა და იმავე ფართობზე შეიძლება ორ-ორი მოსავალი მოვიწიოთ წელიწადში.

სურხან-დარიის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ხაზარბაგის“ მარცვლეულის მოვლა-მოყვანის ოსტატებმა საშუალოდ ჰექტარზე მოიწიეს 23 ცენტნერი ქერი, რომელიც შემოდგომაზე დათესეს, ხოლო შემდეგ ამავე ნაკვეთებზე დათესეს სიმინდი და მოიწიეს საშუალოდ 75 ცენტნერი მარცვალი, ხოლო სულ ჰექტარზე — 98 ცენტნერი.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს საცდელი სადგურის მუშაკს ხარიფა აზიმოვს სამი წლის განმავლობაში 93 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მოჰყავს ჰექტარზე. ალტი-არიკის საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „სოხის“ ბრიგადირის ბობომოლა აბდუსაიტოვის ბრიგადამ 73 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღო ჰექტარზე, იანგიკურგანის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „უზბეკისტანის“ №14 სკოლის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადამ, რომელსაც მამაჯან იმამნაზაროვი ხელმძღვანელობს, ჰექტარზე მოიწია 75 ცენტნერი. მეცხოველეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ბაზის სელექციონერის საფარ კადამოვის საცდელ ნაკვეთზე მოწეულია 80 ცენტნერი ჯუგარა.

კალინინის საწარმოო სამმართველოს ყარა-სუს ჯიშთგამოცდის ნაკვეთზე სიმინდის მარცვლის მოსავალი მრავალი წლის განმავლობაში აღწევს 100-120 ცენტნერს ჰექტარზე, ხოლო დენაუს საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ უზუნს ჯიშთგამოცდის ნაკვეთზე მიმდინარე წელს მიღებულია 115 ცენტნერი ჰექტარზე.

რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც გაითქვა სახელი გურლენის საწარმოო სამმართველოს მებრინჯეობის კოლმეურნეობა „კომუნიზმმა“. აქ ყოველწლიურად 1200 ჰექტარზე მეტ ნთესში მოჰყავთ 72-78 ცენტნერი ბრინჯი ჰექტარზე, ხოლო დონის პაკის ბრიგადა იწევს 85-90 ცენტნერს.

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალგაზრდა ოსტატებს რაზა ატაბაევას, რახმან აბდურასულოვს, აჩილ მუმინოვს, აბდუხალილ ახადოვს, ლუბა ლის, ტაჯიტდინ შამსუდდინოვს, მელიკუზი ომანოვს, აბდუშარიპ იუსუპოვს, კონსტანტინე პაკს, ტაჯიტდინ ტოხტაზუნოვსა და ბევრ სხვას ყოველწლიურად მოჰყავთ 70-80 ცენტნერი მარცვლეული ყოველ ჰექტარზე.

სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ, რომ მათ გამოცდილებას, ჩვენი ქვეყნის მარცვლეულის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილებას მთელი ახალგაზრდობის კუთვნილებად გადავაქცევთ. რესპუბლიკის ასობით ახალგაზრდა პატრიოტი უკვე ჩაება ლაშქრობაში ჰექტარზე 100 ცენტნერი მოსავლისათვის. 100-ცენტნერიანთა მოძრაობა მოიცავს ყველა ოლქს. იქმნება მემარცვლეთა სპეციალური ახალგაზრდული ბრიგადები. ეს ბრიგადები იქნებიან კომპლექსური მექანიზაციის ბრიგადები. ბრიგადებს ხელმძღვანელობენ უზვი მოსავლის საუკეთესო ახალგაზრდა ოსტატები, ამ საქმის ნამდვილი ენთუზიასტები. ჩვენ მოვაწყვეთ მოწინავე გამოცდილების სკოლები, რომლებშიც ახალგაზრდობა ეუფლება მარცვლეულის უზვი მოსავლის მოვლა-მოყვანის ოსტატობას.

რესპუბლიკაში წარმოების საშემოდგომო პურეულის თესვა, რომელიც სრულდება მოკლე ვადებში, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე. ვხელმძღვანელობთ რა თქვენი რჩევა-დარიგებით, ნიკიტა სერგის-ძევ, ვფიქრობთ ამ დღეებში სარწყავ მიწებზე დავთესოთ ბარდა, ქერი ან ხორბალი და მაის-ივნისში მოვიწიოთ 40-45 ცენტნერი მარცვლეული. ამის შემდეგ დავთესავთ სიმინდსა და ჯუგარას, 1964 წლის შემოდგომაზე ძველ ნახნავზე მოვიწევთ 70-80 ცენტნერ მარცვლეულს, ახლად ათვისებულ მიწებზე — 60-65 ცენტნერს, ხოლო სულ — არანაკლებ 100 ცენტნერს ჰექტარზე. ახალგაზრდა ბრინჯის მთესველები იბრძოლებენ იმისათვის, რომ სულ ცოტა 60 ცენტნერი ბრინჯი მოიწიონ ჰექტარზე.

ჩვენ სულით და გულით მივესალმებით თქვენს სიტყვებს, ნიკიტა სერგის-ძევ, იმის შესახებ, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობის საფუძველთა საფუძველია სასუქების წარმოება. ჩვენს რესპუბლიკაში უდიდესი ქიმიური საწარმოები შენდება. ეს არის დამკვრელური კომკავშირული მშენებლობანი, სადაც თავდადებით შრომობს ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი. სიტყვას გაძლევთ, რომ მთელ ძალღონეს, მთელ ახალგაზრდა მჩქეფარე ენერგიას მოვახმართ იმას, რომ ქიმიის დამკვრელური კომკავშირული მშენებლობანი დროზე ჩადგნენ მოქმედ საწარმოთა მწყობრში, რათა ჩვენმა მინდვრებმა მიიღონ რაც შეიძლება მეტი მინერალური სასუქი.

ამ დღეებში უზბეკეთის მშრომელები ცხოვრობენ ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით — პირნათლად შეასრულონ სახელმწიფოსათვის ხამი ბამბის ჩაბარების ვალდებულებანი. რესპუბლიკის მინდვრებში მოწეულია „თეთრი ოქროს“ უზვი მოსავალი. და ამ ალოობის დროს ათასობით ახალგაზრდა ენთუზიასტი, ბამბასაკრეფი მანქანების მძღოლები და მრავალათასიანი მკრეფავები ნამდვილ შრომით გმირობას იჩენენ.

ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ!

მუდამ გვახსოვს თქვენი სიტყვები, რომ კომუნიზმი მილიონობით ადამიანის შრომით და მხოლოდ შრომით იქმნება. ჩვენი მზიური რესპუბლიკის ქალიშვილები და ჭაბუკები არასოდეს არ ზოგავდნენ არც ძალღონეს, არც ენერგიას და ასრულებდნენ პარტიის დავალებებს, იბრძოდნენ შვიდწლედის მოწინავე მიჯნებზე.

ჩვენ ვამაუთით იმით, რომ ვასრულებდით რა თქვენს კეთილ რჩევა-დარიგებას, ვისწავლეთ „თეთრი ოქროს“ უზვი და იაფი მოსავლის მოყვანა, რომ დავუმეგობრდით ტექნიკას, და მანქანა ბამბის მოსაველთა ნამდვილი მეგობარი გახდა.

დღეს უზბეკეთის ყველა კომკავშირელს, ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის სახელით სიტყვას გაძლევთ, რომ ასეევ კარგად ვისწავლით მოვიყვანოთ მარცვლეული კულტურები ისე, რომ ზიანი არ მივაყენოთ ბამბას. ჩვენი ღირსების, ჩვენი კომკავშირული სინდისის საქმე იქნება მარცვლეულის უზვი მოსავალი უზბეკეთის მიდლიან მიწებზე.

ჩვენ, პლენუმის მონაწილენი, საბჭოთა უზბეკეთის ყველა კომკავშირელისა და ახალგაზრდობის სახელით სიტყვას გაძლევთ თქვენ, ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომ ძალღონეს არ დავიშურებთ, რათა ჩვენი მზიური რესპუბლიკა გახდეს არა მარტო „თეთრი ოქროს“ მხარე, არამედ ჩვენი ქვეყნის პურის ბეღელიც!

კომკავშირულ სიტყვას გაძლევთ, რომ ჩვენი შშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით დღითი დღე გავაფართოებთ ახალგაზრდა მშრომელთა შეჯიბრებას იმისათვის, რომ 100 ცენტნერი მარცვლეული მოვიწიოთ ჰექტარზე. მომავალ წელს ასობით და ათასობით ახალგაზრდა პატრიოტი უპატაკებს პარტიას: „მიიღე, სამშობლო, 100-ცენტნერიანი მოსავალი! პირობა შევასრულეთ!“.

უზბეკეთის ალკაკ ცენტრალური კომიტეტის კლენუმის მონაწილენი.

ამიერკავკასიის მშენებელთა თათბირი

სექციების სხდომებზე

16 ოქტომბერს — ამიერკავკასიის მშენებელთა თათბირის მუშაობის მეორე დღეს გაიმართა სექციების სხდომები.

თათბირის მონაწილენი, რომლებიც ჯგუფებად დაიყვნენ, განაგრძობდნენ მსჯელობას კაპიტალური მშენებლობის შემდგომი გაუმჯობესების გზებზე, შენობებისა და ნაგებობების აშენების მეთოდებს სრულყოფაზე, უახლესი მანქანებისა და მექანიზმების შექმნასა და გამოყენებაზე.

მშენებლობის დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სექციაზე მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა გ. მ. ქართველიშვილმა, სომხეთის სსრ მშენებლობის მინისტრმა კ. ო. მარუტიანმა, „მთავარბაკოშშენის“ უფროსმა ს. გ. რაგიმოვმა. მოხსენებების ფართოდ განხილვის შემდეგ მიიღეს სამშენებლო ორგანიზაციების დაფინანსების მოწესრიგების რეკომენდაციები.

საშენი მასალების მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის სექციაზე მომხსენებლებად იყვნენ სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის სახმშენების თავმჯდომარეები — ამხანაგები გ. კ. აგაბაბოვი, ბ. ვ. ლორთქიფანიძე, ი. ა. ისმაილოვი. მათ ილაპარაკეს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საშენი მასალების მრეწველობის განვითარების ღონისძიებებზე, იმ პრობლემურ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მშენებლობის ინდუსტრიალიზაციასთან. კამათში აღინიშნა, რომ მშენებლობის რესპუბლიკური სამინისტროების სისტემაში საჭიროა შეიქმნას საშენი მასალების საწარმოთა ერთიანი სამმართველოები.

საპროექტო ორგანიზაციების სპეციალიზაციის, ტიპური დაპროექტებისა და ექსპერიმენტული მშენებლობის გაუმჯობესების პრობლემებს მიეძღვნა მშენებლობის დაპროექტების სექციის სხდომები. ამ საკითხებზე ილაპარაკეს სამი რესპუბლიკის სახმშენების თავმჯდომარეთა მოადგილეებმა ე. ა. ისმაილოვმა, თ. კ. ქუთათელაძემ, გ. ა. მელქუმიანმა.

იმავე დღეს დაამთავრეს მუშაობა აგრეთვე შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის, მშენებლობებისათვის სამეცნიერო, ინჟინერ-ტექნიკური და მუშათა კადრების მომზადების სექციებმა.

17 ოქტომბერს გაიმართება თათბირის დასკვნითი პლენარული სხდომა. (სომხდესი).

გულითადი მილოცვა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს სტავროპოლის მხარის სოფლის მეურნეობის მშრომელებს შესანიშნავი შრომითი გამარჯვება — სახელმწიფოსთვის პურის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულება. სამშობლოს ბეღლებში შეინახეს 170 მილიონზე მეტი ფუთი მარცვალი, რაც 43 მილიონი ფუთით მეტია, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ძირითადი სასურსათო კულტურა — ხორბალი სახელმწიფოს მიჰყიდეს 129,6 მილიონი ფუთი. ასეთი რაოდენობით მარცვალი მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჯერ არასოდეს არ დაუმზადებიათ. სტავროპოლელებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის პურით უზრუნველყოფის საქმეში.

წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისადმი სკკპ სტავროპოლის სოფლის სამხარეო კომიტეტი და სტავროპოლის სოფლის სამხარეო აღმასკომი იტყობინებიან, რომ პურის მიყიდვა ნაკისრი ვალდებულებების გადამეტებით გრძელდება. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოიმარაგეს საჭირო რაოდენობით საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების მაღალხარისხოვანი ჯიშიანი თესლი.

სტავროპოლის მხარეს აქვს დიდი შესაძლებლობანი, მარცვლის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის სარწყავი მიწათმოქმედების გზით. ნ. ს. ხრუშჩოვის რჩევა-მითითებების შესაბამისად, რომლებიც მან გამოთქვა ჩრდილოეთ კავკასიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე, სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა განიზრახეს უახლოეს წლებში სარწყავი ფართობები გაადიდონ 270 ათას ჰექტარამდე. ამის შედეგად მხარეს შეუძლია ყოველწლიურად დამატებით მიიღოს მარცვლის გარანტირებული მოსავალი 40 მილიონი ფუთის რაოდენობით. (საკდესი).

ლ. ი. ბრეჟნევი ავღანეთში

ქაბული, 15 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ეწვია ავღანეთის მეფეს მუჰამედ ზაჰირ შახს მის რეზიდენციაში. ლ. ი. ბრეჟნევმა მიულოცა ავღანეთის მეფეს დაბადების დღე.

მეფის რეზიდენციიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შახი წავიდნენ ბაღრამში, სადაც ნახეს ეროვნული სპორტული თამაში „ბოზკაში“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტი გარდაქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის საკავშირო — რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაავალა დამტკიცოს იმ ორგანიზაციებისა და საწარმოების სია, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის გამგებლობას უნდა გადაეცეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

**საქართველოს სსრ



სკკპ შემოქმედებითი მარქსიზმის პარტიაა

ჩვენმა პარტიამ ბოლო წლებში უდიდესი წვლილი შეიტანა მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარებაში, გაამდიდრა იგი მთელი რიგი ახალი დებულებებითა და დასკვნებით. გადაჭრით დაძლია რა სტალინის „პიროვნების კულტის მავნე შედეგები, მან სრულად აღადგინა მნიშვნელობა ლენინის მითითებებისა იმის შესახებ, რომ საჭიროა **შემოქმედებითი მიდგომა მარქსისტული თეორიისადმი**, და ისინი საფუძვლად დაუდო თავის საქმიანობას.

ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი გადაჭრით გამოდიოდა იმათ წინააღმდეგ, ვინც მარქსიზმში ხედავდა გაქვავებული დოგმატების კრებულს და არა მოქმედების ცოცხალ სახელმძღვანელოს.

რევოლუციური თეორია და აზრის გაყინვა შეუთავსებელია. საზოგადოების პროგრესული განვითარების უზრუნველსაყოფად თეორია თვითონ განუწყვეტლივ უნდა ვითარდებოდეს, გულისხმიერად ეხმაურებოდეს ისტორიული ვითარების ცვლილებებს. მისი ამოცანაა გზა გაუშუქოს პრაქტიკას, და არა კუდში მისჩაჩალებდეს მოვლენებს.

რევოლუციური თეორიის შემოქმედებითი განვითარებისა და გამოყენების საჭიროების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დადგა უკანასკნელ წლებში. მსოფლიოში დიდი ძვრები მოხდა: ნარმოიშვა და მტკიცდება სოციალისტური სისტემა; სწრაფად ინგრევა კოლონიალიზმი; უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა მსოფლიო რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ამ პირობებში საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ კომუნისტური მოძრაობის სხვა რაზმებთან ერთად წამოაყენა და შეიმუშავა ახალი თეორიული დებულებები და თანამედროვეობის აქტუალური საკითხებზე. ჩვენი პარტიის პროგრამაში, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო, ღრმად და ყოველმხრივ, ნამდვილი მეცნიერული პოზიციებიდან ცხადყოფილია თანამედროვე ეპოქის შინაარსი; გამოკვლეულია სოციალური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის მოპოვების გზები; განსაზღვრულია მუშათა კლასის საერთო-დემოკრატიულ და სოციალისტურ ამოცანათა თანაფარდობა; შემუშავებულია ლენინური მოძღვრება სოციალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალთა კავშირის შესახებ; გადაჭრილია მშვიდობისა და ომის პრობლემები.

ლენინური მოძღვრების სულისკვეთების საფუძველზე პარტიამ შემოქმედებითად შეიმუშავა სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები. მან განსაზღვრა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების, ახალი ადამიანის აღზრდის კონკრეტული გზები.

მინლიონობით მარქსისტ-ლენინელმა მსოფლიოს ყველა ნაწილში სკკპ XXII ყრილობის დოკუმენტები, მისი ახალი პროგრამა მიიჩნია როგორც მაგალითი მარქსიზმ-ლენინიზმის მეთოდოლოგიის ოსტატური გამოყენებისა საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული მოვლენების ანალიზისათვის, როგორც მაგალითი შემოქმედებითი აზროვნების გაძალებისა და შემართებისა, მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების შემდგომი განვითარებისა. ჩვენი პარტიის მიერ წამოყენებული ახალი თეორიული დასკვნები და დებულებების სისწორემ, მათმა შესაბამისობამ მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციურ პრინციპებთან, შრომელთა ძირეულ ინტერესებთან საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

თითქმის ყველა მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა განცხადებებში, ამ პარტიების ოფიციალურ დოკუმენტებში სრული გარკვეულობით აღნიშნულია, რომ სკკპ XXII ყრილობას თვალსაჩინო ადგილი ეკუთვნის მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში; მისი იდეები მოუწოდებენ და შთაგონებენ ყველა კონტინენტის ხალხებს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

და მხოლოდ ჩინელი ხელმძღვანელები არ ეთანხმებიან ასეთ დასკვნას, ანტიმარქსისტულ თვალსაზრისს ადგანან. ამუამად პეკინელი მოღალატეები ცდილობენ ჩირქი მოსცხონ ჩვენი პარტიის XX და XXII ყრილობების გადაწყვეტილებებს, დაამტკიცონ, რომ ეს ყრილობები ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში თითქოს ჩამოშორდნენ ლენინიზმს, ოპორტუნიზმში გადავარდნენ. ამასთან რამდენადმე დამაჯერებელი არგუმენტების უქონლობის ანაზღაურებას ჩინეთის კომუნისტური პარტიის დოგმატიკოსები ცდილობენ შეურაცხყოფილი გამოთქმების ხშირი ხმარებით, ბუნდოვანი გადაკრული სიტყვებით და ცუდად დაფარული მუქარითაც კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა კომუნისტური და მუშათა პარტიების მისამართით.

ცნობილია, რომ ჩინელ ხელმძღვანელებს უყვართ თავიანთი მტრების დანმარვა: „ამერიკის იმპერიალიზმი — მტერი № 1“, „იუგოსლავიის რევიზიონიზმი — მტერი № 2“ და ა. შ. ყველაფრის მიხედვით ჩანს, რომ ამჟამად პეკინელ ცილისმწამებლებს არა ჰყავთ უფროსი საძულველი და პირველი რიგის მტერი, ვიდრე... საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. სწორედ იგი აირჩიეს მათ სამიზნედ ყველაზე ბოროტი თავდასხმებისათვის, ყველაზე მდაბალი ცილისმწამებლური გამონაგონებისათვის. ჩამოშორდნენ რა შემოქმედებითს მარქსიზმ-ლენინიზმს, ჩინელმა დოგმატიკოსებმა უარყვეს ჩვენი პროგრამის მეცნიერული დასკვნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მუშათა კლასის პარტიადან მთელი ხალხის პარტიად გადაქცევის შესახებ.

მოტივებს, რომლებითაც ეს კეთდება, ჩაადენინოს მათ. საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული მოვლენის შეფასებაში შედგომის დაშვება კი ნიშნავს შეცდომის დაშვებას ქცევის ხაზის შემუშავებაშიც, მასების არასწორ ორიენტირებას, ინიციატივის დაკარგვას ბრძოლაში.

ამ ფიდოთ თანამედროვეობის ძირეული და უმწვავესი საკითხი, როგორიც არის მსოფლიო თერმოთერმული ომის თავიდან აცილების შესაძლებლობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დასკვნა, რომელიც ემყარება ძალთა რეალური თანაფარდობის გათვალისწინებას, ამბობს: ჩვენს დროში არ არის სახელმწიფოთა შორის ომების ფატალური გარდუვალობა, მსოფლიო ომის თავიდან აცილება შეიძლება და საჭიროც არის. ჩინელ ხელმძღვანელთა დასკვნაში, რომელიც დამყარებულია მრავალი წლის წინათ, პრინციპიულად სხვა ისტორიულ ვითარებაში ჩამოყალიბებულ თეორიულ დებულებებზე, ნათქვამია: სანამ იმპერიალიზმი არსებობს, ომები გარდუვალია; ომების მოსპობა არ შეიძლება იმპერიალიზმის მოუსპობლად. ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ ამ დასკვნებს შორის განსხვავებას რაღაც განყენებული, სქოლასტიკური ხასიათი აქვს და, უბრალოდ რომ ვთქვათ, ომის ღირსი არ არიან, რომ მათი გულისთვის ცხარე კამათი იმართებოდეს. მაგრამ ეს სულაც არ არის ასე. იმაზე, თუ ამ დასკვნებიდან რომელი დაედება საფუძვლად პარტიის პოლიტიკას, დამოკიდებული იქნება ამ პოლიტიკის ხასიათი, შინაარსი.

ჩვენი პარტიის დასკვნა უნერგავს ადამიანებს მშვიდობისათვის, ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლის წარმატების რწმენას, ეს კი ათეულებს ბრძოლთა ძალებს, აქტიურებს ხალხებს. ჩინელ ხელმძღვანელთა დასკვნას შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ უიმედობისა და სასოწარკვეთილების გრძნობები. პასიურობისა და გულგრილობის გზაზე დააყენოს მასები. თუ ომის თავიდან აცილება შეიძლება, მაშასადამე, როგორც სკკპ ამბობს, საჭიროა ამისათვის გამოყენებულ იქნას ყველა საშუალება, მშვიდობისათვის, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლა. ჩინთავალოს კომუნისტური და მუშათა პარტიების საგარეო პოლიტიკის გენერალურ ხაზად, სტრატეგიულ ამოცანად, თუ ომის თავიდან აცილება არ შეიძლება, მაშასადამე საჭიროა, როგორც ჩინელი ხელმძღვანელები ამბობენ, განხორციელდეს პოლიტიკა „მახვილი მახვილის წინააღმდეგ“, ესე იგი ომისათვის მზადების, გამალებული შეიარაღების, საერთაშორისო ვითარების გამწვავების პოლიტიკა. ეს კი ისეთი პოლიტიკაა, რომელსაც მხარს ვერ დაუჭერენ ხალხები, რადგან იგი მათს სასიცოცხლო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

გამოდის, რომ დოგმატური შეცდომები სულაც არ ატარებენ უწყინარ ხასიათს: მათ მოსდევთ მეტად დამღუპველი შედეგები მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისათვის, მთელი კაცობრიობის ბედისათვის. განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პეკინის ხელმძღვანელი მოღალატეები უაღრესად დოგმატურად განმარტავენ არა მარტო ომისა და მშვიდობის პრობლემებს, არამედ ბევრ სხვა საკითხსაც, რომლებიც ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერესებს ეხება. ეს არის მსოფლიო სოციალისტური სისტემის როლისა და განვითარების, პიროვნების კულტის იდეოლოგიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლის, მსოფლიო მუშათა მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საკითხები. ყოველი საშუალებით, აშკარა გამთიშველი მოქმედებითაც კი, ისინი ცდილობენ ამ საკითხებზე თავიანთი ღრმად მცდარი შეხედულებანი თავს მოახვიონ კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, ჩიხში მოაქცინონ ისინი. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია ყოველმხრივ გაუწიოს ამას წინააღმდეგობა, გადაჭრით იბრძოლოს დოგმატიზმისა და იმ მავნე პოლიტიკურ დებულებათა წინააღმდეგ, რომლებიც დოგმატიზმს თან სდევენ.

ცოცხალი შემოქმედების კეთილმყოფელი ლენინური სულისკვეთებით განსახორციელია აჯადამად ჩვენი პარტიის მოღვაწეობის ყველა მხარე — პოლიტიკური, იდეოლოგიური, ორგანიზაციული.

პარტორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების ყურადღების ცენტრში დაყენებულია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდის უზრუნველყოფის საკითხები, რაც შეეხამება არა მარტო საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს, არამედ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ინტერესებსაც.

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო პარტიის ახალი პროგრამა — შემოქმედებითი მარქსიზმის თვალსაჩინო დოკუმენტი. ამ დოკუმენტის დროშით ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი ენერგიით იბრძვიან კომუნიზმის აშენებისათვის, სულ უფრო და უფრო წინ მიიწევენ სანუკვარი მიზნისაკენ. და არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ხელი ააღებინოს მათ ამ ძლევამოსილ დროშაზე, ძირს დაახრევინოს იგი.

კ. ლომაკინი.

დოკუმენტები

ვეაიარაღებენ კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში

სკკპ XXII ყრილობა, რომელმაც მიიღო პარტიის ახალი პროგრამა და წესდება, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარებაში. ყრილობამ პარტია, მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები შეაიარაღა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის დიადი გეგმით. ყრილობის დოკუმენტებმა და მასალებმა ხალხის ფართო მასების უდიდესი ინტერესი გამოიწვიეს.

რომ დაეკმაყოფილებინათ მოთხოვნები ამ მასალებზე, გამომცემლობათა თანამშრომლებმა და პოლიგრაფიულ საწარმოთა კოლექტივებმა ცოტა როდი იშრომეს.

ძირითადი სამუშაო შეასრულა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საახალგაზრდო მოხსენება სკკპ XXII ყრილობისადმი, რომელიც გაკეთა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, გამოშვებულია ხუთნახევარ მილიონ ცალად. ამავე რაოდენობით გამოცემულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის შესახებ“. თითქმის 8 მილიონი ბროშურა გამოვიდა, რომლებშიც დაბეჭდილია სკკპ ახალი პროგრამა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ფ. რ. კოზლოვის მოხსენება „სკკპ წესდებაში ცვლილებათა შესახებ“ გამოცემულია ორმილიონნახევარ ტირაჟით, ხოლო პარტიის წესდება, რომელიც ყრილობამ დაამტკიცა, გამოქვეყნებულია რვანახევარ მილიონზე მეტ ცალად. სამ ტომს შეადგენს XXII ყრილობის მუშაობის სტენოგრაფიული ანგარიში, რომელთაგან თვითეული ტომი გამოშვებულია 250 ათას ცალად. სამ მილიონ ცალად გამოვიდა ყრილობის მასალათა კრებული.

მასობრივი ტირაჟით გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის რეზოლუციები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ყრილობის დახურვისას, ყრილობისადმი მისალმებანი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა გამოსვლები ყრილობაზე.

იმ წიგნებისა და ბროშურების საერთო ტირაჟი, რომლებშიც დაბეჭდილია სკკპ XXII ყრილობის დოკუმენტები და მასალები, და რომლებიც მხოლოდ პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა, შეადგენს დაახლოებით 40 მილიონ ცალს.

მეტი ყურადღება კადრებთან მუშაობას

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა რ. ფრუიძემ თავის მოხსენებაში — „კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის შესახებ სკკპ XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად — აღნიშნა, რომ თბილისის მშრომელები აქტიურად მონაწილეობენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. ქალაქის მრეწველობა წლითიწლობით ზრდის წარმოების ტემპს. მიმდინარე წლის ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია დაახლოებით 14 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ცუდად როდი აქვთ საქმე ქალაქის მშენებლებს. ცხრა თვის დაღალება მათ შეასრულეს. საქმბლოტაციოდ გადაეცა ბევრი ახალი სამრეწველო საამქრო და უბანი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტი, 150 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი.

მასების მაღალ შემოქმედებით ინიციატივასა და აქტივობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში კომუნისტური შრომისათვის პატრიოტული მოძრაობის მონაწილეთა რიცხვი ერთიორად გადიდდა და უკვე შეადგენს დაახლოებით 75 ათას კაცს. 600 საწარმო, საამქრო, უბანი, აგრეთვე 2 ათასი ბრიგადა იბრძვიან უკვე მოიპოვეს კომუნისტური შრომის კოლექტივის სპატიო წოდება.

შემდეგ ამხ. ფრუიძემ ილაპარაკა იმ მნიშვნელოვანი მუშაობის შესახებ, რომელსაც ქალაქის პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაობის ყველა უბნის კადრებით განმტკიცების საქმეში. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში პასუხსაგებ თანამდებობებზე დაწინაურებული არიან ახალგაზრდა კადრები, რომლებიც ლენინურად, შემოქმედებითად წყვეტენ კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მიერ დასახულ რთულ ამოცანებს.

მნიშვნელოვნად გადახალისდა პარტიის საქალაქო კომიტეტისა და რაიონული კომიტეტების აპარატი. პარტიულ და საბჭოთა ორგანოების საქმიანობაში ჩაბმული არიან მეცნიერები, მწერლები, მხატვრები და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები. ისინი მუშაობენ უშტატო ინსტრუქტორებად, არიან საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე სხვადასხვა კომისიისა და სექციის წევრები. მრეწველობის პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომმა სრულყოფამ საშუალება მოგვცა უკეთ შეგვეფასებინა კადრები პრაქტიკულ მუშაობაში, სწორად გადანაწილოთ და აღვზარდოთ ისინი. ქალაქის 25 სამრეწველო საწარმოში გადახალისდა ხელმძღვანელობა, რამაც, უთუოდ, კარგი შედეგები მოგვცა.

სრულყოფენ რა კადრებთან მუშაობას, ქალაქის პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ კადრების იდეურ წრთობასა და საქმიან კვალიფიკაციას. პარტიის საქალაქო კომიტეტში შექმნილ კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის ორწლიან უნივერსიტეტში, საბალო უნივერსიტეტებში, თეორიულ სემინარებში, ეკონომიკის სკოლებში, ხელმძღვანელი მუშაკები, მრეწველობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები სწავლობენ კონკრეტული ეკონომიკის პრობლემებს, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, მეურნეობის გაძღოლის მეთოდებს. ხელმძღვანელ მუშაკთა უმეტესი ნაწილი ეწევა პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას.

ამასთან ერთად, თქვა მომხსენებელმა, ქალაქში კადრებთან მუშაობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებიც დასახეს პარტიის XXII ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და ივნისის პლენუმებმა. კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხი ჯერ კიდევ არ დგას ქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყურადღების ცენტრში. ხშირად ირღვევა პოლიტიკური და საქმიანი ნიშნებით კადრების შერჩევის ლენინური პრინციპები. ცალკეული პარტიული კომიტეტები ჯეროვნად არ

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმი

სწავლობენ კადრებს, ურიგდებიან იმას, რომ ზოგიერთ პასუხსაგებ თანამდებობაზე არიან ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ ორგანიზატორული უნარი და სათანადო ცოდნა.

მთელ რიგ სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელი სამეურნეო კადრები და პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურ ზრუნვას არ იჩენენ წარმოებაში მუშების შენარჩუნებისათვის, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ მათი მუშაობისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ამის პირდაპირი შედეგია მუშათა კადრების დენადობა, რაც უარყოფითად მრქმედებს სახელმწიფო გეგმის შესრულებაზე.

საკმაო რაოდენობით არ იყენებენ ქალის შრომას ვაჭრობაში. „თბილმრეწვაჭრობაში“ იგი შეადგენს 39,2 პროცენტს, მარჯვენა სანაპიროს კვებვაჭრობაში — 49,7 პროცენტს, „თბილხლილბოსტანვაჭრობაში“ — 25 პროცენტს.

ყველაფერი რიგზე როდია მეცნიერთა კადრებთან მუშაობის საქმეშიც. გამოყენებითი და ტექნიკურ მეცნიერებათა ზოგიერთი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ჯერ კიდევ საკმარისად არ არის დაკავშირებული წარმოებასთან, სუსტად მუშაობენ მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების შესწავლისა და სახალხო მეურნეობაში დანერგვისათვის. არადამაკმაყოფილებლად დგას მეცნიერთა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმე; ბევრი მეცნიერი მუშაკი წლების მანძილზე არ იცავს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს.

ხელმძღვანელ მუშაკთა, განსაკუთრებით სამეურნეო მუშაკთა მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ გაზე უდგას იდეოლოგიურ მუშაობას, რის შედეგად უზრუნველყოფილი არ არის იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის ერთიანობა, მათი მაღალი პასუხისმგებლობა კოლექტივების პოლიტიკურ-მორალური მდგომარეობათვის, ადამიანების კომუნისტური აღზრდისათვის.

ცალკეული პარტიული კომიტეტები ჯერ კიდევ საკმარისად არ მუშაობენ, რომ ხელმძღვანელ კადრებს ჩაუნერგონ მაღალი მორალური თვისებები, რის შედეგად არის პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევის, მუშაობაში უპრინციპობის, სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების ცალკეული ფაქტები.

იმის შედეგად, რომ ჯეროვან სიფხიზლეს არ იჩენენ ქალაქში მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე კადრების შერჩევაში, კვლავ ვხედავთ გაფლანგვის, დატაცებისა და სხვა დანაშაულობათა ფაქტებს.

განსაკუთრებით სერიოზული ნაკლოვანებებია კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებმა ჯერ კიდევ არასაკმაოდ გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა.

— ვიფასებდეთ კადრებს, — თქვა დასასრულ ამხ. ფრუიძემ, — ნიშნავს სწორად გამოვიყენოთ ისინი სამუშაოზე, შევუქმნათ პირობები, რომელშიც სრულად გამოავლენენ თავიანთ ნიჭსა და უნარს.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველმა მდივანმა **მ. დანელიამ**, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის დირექტორმა **ნ. კიზივაძემ**, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **დ. მამაცაშვილმა**, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველმა მდივანმა **თ. მოსაშვილმა**, საქართველოს ალკა თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **ს. ხაბეიშვილმა**, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა **ლ. ჩიქვანაიამ**, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ **თ. ეგაძემ**, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მეორე მდივანმა **ვ. კაჭარავამ**, მილიციის ქალაქის სამმართველოს უფროსმა **ა. ოსეფაიშვილმა**, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროორექტორმა **ვ. ხუროშვილმა.**

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს ვრცელი დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში. (საქდესი).

სკკპ შემოქმედებითი მარქსიზმის პარტიაა

გულთბილი შეხვედრები

ჟურნალისტთა შემოქმედებითი სემინარის მონაწილენი რესპუბლიკის საწარმოებში

თბილისში გამართულ ჟურნალისტთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი სემინარის მონაწილეები 16 ოქტომბერს გაეცნენ თბილისის საწარმოთა მუშაობას, დაათვალიერეს რესპუბლიკის დედაქალაქისა და მისი მიდამოების ღირსშესანიშნაობანი.

ჟურნალისტები ექსკურსიაზე იყვნენ სოციალისტურ ქალაქში — რუსთავში. ისინი ეწვივნენ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას. ამიერკავკასიის მეტალურგიული გიგანტის ბრმმედების საამქროს დათვალიერებისას საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, წარჩინებულმა მეტალურგმა ა. ძამაშვილმა სტუმრებს უამბო რესპუბლიკის ამ უდიდესი საწარმოს შრომითი წარმატებების შესახებ. ქარხანამ ჯერ კიდევ შარშან მიაღწია ფოლადის გამოდნობის 1965 წლის დონეს.

საწარმოს კოლექტივი იბრძვის შვიდწლედის ვადამდე შესრულებისათვის და მნიშვნელოვნად გადაჭარბა პროდუქციის გამოშვების საკონტროლო დავალებებს.

ჟურნალისტთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი სემინარის მონაწილეები ჯგუფი ეწვია აგრეთვე კომუნისტური შრომის საწარმოებს — თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკასა და შამპანური ღვინოების ქარხანას.

• • •

ჟურნალისტთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი სემინარის მონაწილეები გუშინ რუსთავში იყვნენ და გაეცნენ ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მუშაობას.

სუროთზე: წარჩინებული მებრძმედე ა. ძამაშვილი (ცენტრში) სემინარის მონაწილეებს უამბობს საბრძმედე საამქროს მუშაობის შესახებ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ქართველ მეცნიერთა სტუმრები

16 ოქტომბერს ჟურნალისტთა სრულიად საკავშირო შემოქმედებითი სემინარის საზღვარგარეთელი სტუმრები — ჟურნალისტთა ამასწინანდელი მესამე მსოფლიო შეხვედრის მონაწილენი განაგრძობდნენ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და კულტურის მიღწევების გაცნობას.

უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფი ეწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. საქართველოს უძველესი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს.

უნივერსიტეტის პრორექტორმა მ. მირიანაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში ილაპარაკა, თუ როგორ არის დაყენებული რესპუბლიკაში უმაღლესი განათლების საქმე. შემდეგ სტუმრებმა დათვალიერეს სასწავლო კორპუსები, ლაბორატორიები, აუდიტორიები, იყვნენ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში გაიმართა დარბაზობა, რომელზეც მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტებმა რ. დვალმა და ი. დოლიძემ უპასუხეს ჟურნალისტთა შეკითხვებზე. მათ აცნობეს, რომ ოცდაათ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში, რომლებიც რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შედიან, მუშაობს 5 ათასი მეცნიერი მუშაკი, მათ შორის 100 აკადემიკოსი და წევრ-კორესპონდენტი.

იმავე დღის საღამოს თბილისის კინოსტუდიაში სტუმრებს აჩვენეს ქართველ კინემატოგრაფისტთა რამდენიმე ნამუშევარი.

გამოჩენილი მხედართმთავარი

კ. ნ. ლესელიძის დაბადების 60 წლისთავი

ოცი წლის წინათ გენერალ-მაიორი სოროკინი წერდა: **„დადგება დრო, და გრანიტისა და მარმარილოს ქვაზე ამოკვეთენ სამამულო ომის ყველაზე საუკეთესო გმირთა სახელებს. პირველია შორის ოქროს ასოებით ჩაწერენ კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძის სახელს“.**

ძნელი, მაგრამ სასახელო და დიდების გზა განვლო გენერალ-პოლკოვნიკმა კ. ლესელიძემ. იგი დაიბადა 1903 წლის 15 ოქტომბერს ოზურგეთის (ახლანდელი მახარაძის) რაიონის სოფელ ხვარბეთში. მიუხედავად მძიმე ეკონომიური პირობებისა, მშობლებმა მაინც შეძლეს განათლება მიეცათ შვილებისათვის. შვილებმაც სწორი გზა აირჩიეს: ოთხი ეაქკაკი დიდ სამამულო ომში სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე იდგა. მათგან მხოლოდ ერთი, პოლკოვნიკი დავით ლესელიძე დაუბრუნდა ოჯახს. გმირულად დაიღუპნენ ვიქტორი და ვალერიანი — პირველი ბალტიისპირეთში, მეორე — ქერჩის ბრძოლების დროს. ვიქტორ ლესელიძეს სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

კონსტანტინემ დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლა ოზურგეთის გიმნაზიაში განაგრძო. ამავე დროს იგი ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და აქტიურად იბრძოდა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. 1921 წელს გამოქვეყნდა საქართველოს რევოლუციური თავადრობის დეკრეტი, რომლის მიხედვით თბილისში არსებოდა საოფიცრო სასწავლებელი. კონსტანტინე ნიკოლოზისძე ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ამ მნიშვნელოვან ძოველნას, მოილი თავისი ცხოვრება განუყრელად დაუკავშირა ახალი ტიპის — სოციალისტური არმიის მშენებლობის საქმეს. იგი დიდი მონდომებით შეუდგა სამხედრო საქმის შესწავლას. სამხედრო სასწავლებელში ყოფნის დროს ლესელიძე გატაცებით სწავლობდა არტილერისტის საბრძოლო ხელოვნებას, ეცნობოდა გამოჩენილ მხედართმთავრების ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

1920 წლიდან კ. ლესელიძე კომკავშირელია, ხოლო 1924 წლიდან სკკპ წევრი. სამამულო ომის დაწყებამდე ლესელიძეს არმიაში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა, 1931-38 წლებში იყო მ. ფრუნზეს სახელობის ქართული ეროვნული მეთაური, შემდეგ მონაწილეობდა თეთრფინელების წინააღმდეგ ომში, 1940 წელს გადაყვანილ იქნა მინსკში და დაინიშნა კორპუსის არტილერიის უფროსად. აქ, მოძმე ბელორუსიის მიწაზე, შეხვდა ლესელიძე გერმანელ დამპყრობლებს. მისმა არტილერისტებმა სისხლისმღვრელი ბრძოლები გაუმართეს მტერს მინსკთან, ბრიანსკთან და სმოლენსკთან.

1941 წლის შემოდგომის დასაწყისში პოლკოვნიკი ლესელიძე მოსკოვის ბრძოლების დიადი ეპოპეის მონაწილე გახდა. მას, როგორც 50-ე არმიის არტილერიის უფროსსა და სარდლის მოადგილეს, მთავარსარდლობამ დაავალა ტულის დაცვა. ლესელიძემ პირნათლად გაამართლა მთავარსარდლობის ნდობა, ხალხის დავალება. საბჭოთა სამხედრო ხელოვნების მდიდარ ტრადიციებზე აღზრდილმა ლესელიძის არტილერისტებმა უმკნობი მამაცობა და საბრძოლო ოსტატობა გამოიჩინეს. ჰიტლერული გენერლის გუდერიანის ყოველი შეტევა მარცხით მთავრდებოდა. ტულ საიმედოდ იქნა გამაგრებული, გერმანელთა მე-2 სატანკო არმია სისხლით დაიცალა.

ტულის ბრძოლებთან დაკავშირებით 50-ე არმიას სამხედრო საბჭოს წევრი, გენერალ-მაიორი სოროკინი, იგონებს ლესელიძის მიერ ჩატარებულ ბრძოლებს და ეს: „ლესელიძე იყო განსაცვიფრებელი არტილერისტი. არტილერია იყო მისი სტიქია და გატაცება, მისი კერპი. ლესელიძე ისე ხელმძღვანელობდა ბრძოლებს, როგორც დირიჟორ

საერთაშორისო
ДЕЙЕРЦИ ЦЕЛЕВАЗИ ЗИЗИЦЕЛЕВА
ცხოვრება

საგჭოთა კოსმონავტები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ აქ ჩამოვიდნენ საბჭოთა კოსმონავტები იური გაგარინი და ვალენტინა ტერეშკოვა, რომლებიც მეექსიკიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მივემგზავრებიან. აეროდრომზე საბჭოთა კოსმონავტებს შეხვდნენ სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის თანამშრომელნი, მრავალი ჟურნალისტი. ვ. ტერეშკოვას ყვავილები მიართვეს ამერიკის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა „ქალებო იბრძოლეთ მშვიდობისათვის".

იური გაგარინმა ჟურნალისტების მეშვეობით სალამი გადასცა ნიუ-იორკის მცხოვრებლებსა და მთელ ამერიკელ ხალხს. ჩვენ მივესალმებით აგრეთვე ამერიკელ კოსმონავტებს, დასძინა ვალენტინა ტერეშკოვამ.

სამართლიანი უარი!

კაირო, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ერაყის ბაასისტთა ხელისუფლებმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის კომპეტენტურებსა და პოეტებს სთხოვეს მონაწილეობა მიიღონ საუკეთესო „პატრიოტული სიმღერებისა" და „პატრიოტული პოემის" კონკურსში, რომლებიც ეძღვნება ეგვიპტის წოდებულ „14 რამადანის რევოლუციას" (თებერვლის სახელმწიფო გადატრიალება ერაყში. — რედ. შენიშვნა.) და „იერაყელ გმირთა მამაცობის" ქებას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხელოვნების მოღვაწეებმა უარყვეს ასეთი მიწვევა. განცხადებაში, რომელიც გუშინ გამოაქვეყნა ეგვიპტის კომპოზიტორთა და მუსიკოსთა კავშირმა, ნათქვამია, რომ ერაყში გამეფებული სისხლიანი ბაასისტური რეჟიმი არ შეაძლება იყოს შემოქმედებითი შთაგონების წყარო და რომ ყოველი პატიოსანი ადამიანის წარმოდგენაში ეს რეჟიმი აწვეკს მხოლოდ ძალადობისა და ტერორის ასოციაციას.

ტუნისის ალაპი ბიზერტაში

ტუნისი, 15 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. რაიკერუხი იუწყება: დღეს უკანასკნელმა ფრანგმა ჯარისკაცმა დატოვა ბიზერტას სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზა. ფრანგთა მიერ ტუნისის ოკუპაცია, რომელიც 82 წელს, 5 თვესა და 15 დღეს გრძელდებოდა, დამთავრდა. ამიერიდან ტუნისის ეროვნული ალამი იფრიალებს ამ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, და კერძოდ ბიზერტაში. ტუნისელი ბალხის ბანგრძლივი ბრძოლა კოლონიალიზმისა და უცხოელთა სამხედრო ბაზების მოსპობისათვის სრული გამარჯვებით დამთავრდა დღეს.

მნიშვნელოვანი დახმარება ტუნისს გაუწია მტკიცე პოზიციამ, რომელიც დაიკავეს საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა, რომლებიც გამოვიდნენ ტუნისელი ხალხის დაცვაზედ. „ჩვენ გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, — ხაზგასმით აღნიშნავდა 1961 წელს საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი ტუნისის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰაბიბ ბურგიბასადმი 1 წერილში, — რომ ტუნისის რესპუბლიკის მთავრობა და ხალხი მიაღწევენ თავიანთი ეროვნული ამოცანის განხორციელებას — მოსპობენ სამხედრო ბაზას ბიზერტაში, რომელიც ფრანგ კოლონიზატორთა საყრდენია ტუნისის მიწაწყალზე".

ტუნისელმა ხალხმა დიდი წარმატება მოიპოვა: ბიზერტას ევაკუაცია კიდევ ერთი ნაბიჯია ტუნისის ეროვნული სუვერენიტეტის დაცვისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების გზაზე.

საომარი ინცინდენტი საზღვარზე

ალჟირი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). მაროკოსა და ალჟირის სასაზღვრო კონფლიქტი საკარტის რაიონის ზოგიერთი სადავო ტერიტორიის გამო უკანასკნელ დღეებში მნიშვნელოვნად გამწვავდა და გადაიქცა შეიარაღებულ შეტაკებად მაროკოსა და ალჟირის ჯარებს შორის.

„მაროკოს ჯარის ნაწილები საბრძოლო მოქმედების შედეგად, — აღნიშნა გუშინ საღამოს პრეს-კონფერენციაზე ალჟირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბუტეფლიკამ, — 50-100 კილომეტრით შემოიჭრნენ ალჟირის ტერიტორიაზე".

საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობენ მაროკოს ჯარების რაოდენობა, აღნიშნა მინისტრმა, რამდენიმე ათას კაცს შეადგენს. ძირითადი ოპერაციები წარმოებდა ჰასიბეიდისა და ტინჯების საგუშაგოების წინააღმდეგ, რომლებსაც ინარჩუნებდნენ ალჟირის ჯარები.

გუშინ გაიმართა ალჟირის მინისტრთა საბჭოს სხვანაირი ბრძოლა, რომელზეც განიხილეს მაროკო-ალჟირის სასაზღვარზე შექმნილი მდგომარეობის საკითხი.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ბუტეფლიკამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალჟირის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა მშვიდობიანი საშუალებებით მოაწესრიგოს სადავო სასაზღვრო საკითხები ალჟირსა და მაროკოს შორის. ამასთან დაკავშირებით გუშინ რაბატში გაფრინდა ალჟირის მთავრობის დელეგაცია ეროვნული კრების დეპუტატის მოპამეფ იაზიდისა და ეროვნული თავდაცვის სამინისტროს კაბინეტის უფროსის მაიორ სლიმანის შემადგენლობით. დელეგაციის წევრები უნდა შეხვდნენ მაროკოს მეფეს ჰასან II.

პარიზი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). მაროკოს მეფე ჰასანმა რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლის დროს განაცხადა გუშინ, რომ მისი ქვეყანა მზადაა „მონაწილეობა მიიღოს პიროდამარ დელეგაციაში" ალჟირთან, რომ გადაჭრას მათ შორის შექმნილი სასაზღვრო კრიზისი.

„ჩვენ ვცდილობთ საუცხოო დამოკიდებულება გვქონდეს ჩვენს მეზობელ და მოძმე ხალხებთან, — თქვა მეფემ. — მიგრამ ეს მისწრაფება ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეარყევს ჩვენს მტკიცე გადწყვეტილებას, რომ დავიცვათ ჩვენი ნაძდვილი საზღვრების ხელშეუხებლობა".

ბულგარეთის ავიაციის დღე

სოფია, 16 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბულგარელი ხალხი პირველად აღნიშნავს სამხედრო-საჰაერო ძალების დღეს. ამ დღეს, ორმოცდა თერთმეტი წლის წინათ, 1912 წლის ბალკანეთის ომის დროს, ბულგარეთმა გამოიყენა თავისი თვითმფრინავები, როგორც სამხედრო საშუალება თურქეთის წინააღმდეგ.

ბულგარეთის პრესა, რომელიც ყართოდ აღნიშნავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, ხაზს უსვამს, რომ ახლა რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალები ფხიზლად იცავენ ბულგარეთის სოციალისტურ მონაპოვრებს.

სეკტემბრის შეარიცხვებზე საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისარიატსა და დასავლეთგერმანულ ფირმას „სიმენს შუკერტ ვერკეს" შორის დაიდო შეთანხმება ძმაური ატომური რეაქტორების შექმნის დარგში თანამშრომლობის შესახებ. ცნობილია, რომ ძმაური რეაქტორები მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოყოფენ პლუტონს, რომლის გამოყენება შეიძლება ატომური იარაღის წარმოებისათვის. დასავლეთის პრესას ეს შეთანხმება იმად მიანნია, რომ ძლიერდება საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო თანამშრომლობა საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის 1963 წლის 22 იანვრის ხელშეკრულების ბაზაზე, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რევანშისტული, მილიტარისტული წრეები ყოველგვარი ხერხით ცდილობენ ატომური იარაღის ხელში ჩაგდებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ის დიდი ინტერესი, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა იჩენს საფრანგეთის მიერ წამოყენებული იდეის მიმართ, რომ შეიქმნას ევროპული წოდებული „ევროპის ატომური ძალები". რა თქმა უნდა, ყოველგვარი მოქმედება, რომელიც დასავლეთგერმანელ რევანშისტებს ატომური იარაღის მიღების საშუალებას აძლევს, ეწინააღმდეგება არსებულ საერთაშორისო შეთანხმებებს და არ შეიძლება არ შეეხოს საბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების უშიშროების ინტერესებს.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ელჩები პარიზსა და ბონში ამ დღეებში ეწვივნენ საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროებს და მოსთხოვეს განმარტება, თუ როგორია აღნიშნული შეთანხმების ხასიათი და მიზნები. (საკდესი).

ბუნდესტაგის სხდომაზე

ბონი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ბუნდესტაგის სპეციალურ პლენარულ სხდომაზე ბუნდესტაგის თავმჯდომარემ ჰერსტენმაიერმა წაიკითხა პრეზიდენტ ლუბკეს წერილი ომის შესახებ, რომ დადასტურებულია კანცლერ ადენაუერის გადადგომა. კანცლერთან ერთად გადადგა მთავრობაც. ადენაუერი ფედერალური კანცლერის მოვალეობას შეასრულებს სანამ ბუნდესტაგის ხვალინდელ სხდომაზე ახალ კანცლერს აირჩევდნენ.

ჰერსტენმაიერმა და ადენაუერმა ბუნდესტაგის სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს.

ლუდვიგ ერჰარდი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალი კანცლერია

ბონი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). ბუნდესტაგის დღევანდელ სხდომაზე გადამდგარი ადენაუერის ნაცვლად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახალ კანცლერად არჩეულია ლუდვიგ ერჰარდი.

3. ულბრიხტის გამოსვლა

ბერლინი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). გულითადი იყო შეხვედრა რომელიც გუშინ მოუწყვეს ლიიფციგის ს. მ. კიროვის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის მუშებმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ულბრიხტს, რომელიც მათ დასახელეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის დეპუტატობის კანდიდატად. შეკრებილთა წინაშე გამოსულისას ვ. ულბრიხტი შეეხო ამოცანებს, რომლებიც დასახული აქვს რესპუბლიკის მრეწველობას. მან, კერძოდ. აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, ჯადოდდეს შრომის ნაყოფიერება, შემცირდეს თვითღირებულება, განვითარდეს სტანდარტიზაციისა და ტიპიზაციის საქმე.

შეეხო რა მდგომარეობას, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შეიქმნა იმის გამო, რომ ადენაუერი გადადგა კანცლერის პოსტიდან, ვ. ულბრიხტმა თქვა, რომ დასავლეთ გერმანიის მდგომარეობის შეცვლა დამოკიდებულია დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასზე, ამ ქვეყნის მშვიდობის ძალთა ზრდაზე. ამ შეცვლას ხელს შეუწყობს აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური ძლიერების განმტკიცება, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმზიდველი ძალის ზრდა დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის თვალში.

ᲡᲐᲛᲘᲜᲘ ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲒᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ, ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ, ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ, ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘ.

ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ, ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲗᲔᲑᲘᲡ 1963 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲘᲡ ᲚᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲗᲐ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ. ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲘᲗ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ, ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲜᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲗᲐᲠᲗᲔ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲠᲒᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲠᲩᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲘᲗ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ, ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘ.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲛᲐᲠᲝᲙᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲟᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲪᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲒᲣᲚᲝᲑᲐ. ᲛᲐᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲤᲮᲘᲖᲚᲐᲓ ᲘᲪᲐᲕᲔᲜ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ.

ᲠᲐᲙᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲨᲕᲔᲒᲐ ᲩᲐᲘᲤᲣᲨᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲒᲣᲨᲘᲜ ᲨᲔᲠᲗᲘᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲐᲨᲨ-ᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲠᲐᲙᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲨᲕᲔᲒᲐ ᲩᲐᲘᲤᲣᲨᲐ. ᲠᲐᲙᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲨᲕᲔᲒᲐ ᲩᲐᲘᲤᲣᲨᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲒᲣᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ 5-ᲓᲐᲜ 15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡ-ᲢᲔᲢᲛᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲛᲝᲛᲐᲬᲧᲝ XIII ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲕᲜᲝ ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ 120 ᲙᲐᲪᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ.

11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡ 27 ᲗᲝᲛᲐᲓᲛᲡᲕᲔᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ Მ. ᲑᲐᲩᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ Ი. ᲑᲐᲩᲠᲐᲫᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲧᲘᲜᲒᲐᲠᲬᲧᲔᲠᲖᲔ (5.043 ᲛᲔᲢᲠᲘ) ᲐᲕᲓᲐ.

ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲐᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲗ ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲝᲓᲐᲛᲘᲐᲠᲘ „ᲒᲝᲠᲘ" (4.200 ᲛᲔᲢᲠᲘ).

Ბ. ᲛᲐᲜᲘᲐ,
ᲐᲚᲞᲘᲜᲘᲐᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲕᲘᲜ ᲠᲐ ᲛᲝᲘᲒᲝ?

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲘᲣᲬᲧᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲢᲠᲨᲘ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲗᲔᲑᲘᲡ 1963 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲚᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲗᲐ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ. ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲘᲗ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ, ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘ.

ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲥᲕᲗ ᲚᲢᲐᲠᲘᲘᲡ 18125 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 323, 19533 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 324, 19637 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 084, 20947 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 321 ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲡ.

ᲞᲘᲐᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲥᲕᲗ ᲚᲢᲐᲠᲘᲘᲡ 20677 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 485, 20775 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 426, 20878 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 445, 20987 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 315, 20999 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 260 ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ.

ᲮᲐᲬᲝᲚᲘ ᲝᲗᲝᲮᲐᲮᲘᲡ ᲒᲐᲠᲜᲘᲢᲣᲠᲘ ᲛᲝᲘᲒᲔᲗ 18326 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 295, 20574 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 442, ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲘ „ᲠᲔᲓᲘᲝᲠᲓᲝ" 18675 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 409, 18981 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 218, 19110 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 247 ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲗ, ᲛᲐᲪᲘᲜᲐᲠᲘ 19139 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 158, 19436 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 044, 19576 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 383, 19643 ᲡᲠᲘᲚᲘᲡ № 412 ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲗ.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ

ᲤᲝᲗᲘ. აქ გაიმართა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია, რომელიც მოაწყეს ბ. ტრტიის ფოთის საქალაქო კომიტეტმა და საზოგადოება „ცოდნამ" საქალაქო განყოფილებამ.

კონფერენციამ საყურადღებო პრაქტიკული წინადადებანი მისცა ქალაქის საწარმოებსა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლებს ტექნიკის უახლეს მიღწევათა ფართოდ გავრცელების დარგში.

კ. ᲙᲝᲛᲐᲮᲘᲫᲔ.

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. ახლახან სურამში საექსპლოატაციოდ გადაეცა კავშირგაბმულობის განყოფილებისათვის აგებული სპეციალური შენობა. კეთილმოწყობილ შენობაში არის საფოსტო დარბაზი, ტელეგრაფის, სატელეფონო სადგურის, წერილების, ჟურნალ-გაზეთების დასახარისხებელი და სხვა საჭირო ოთახები.

Დ. ᲗᲐᲠᲘᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲛᲐᲡ წინათ მანგლისის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში გაიმართა საინტერესო კონფერენცია, რომელიც მოაწყო კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად.

კონფერენციაზე წაიკითხეს მოხსენებები: ს. გადელიამ „კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების როლი მასებში იდეურ-ამზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში", დოცენტმა ო. ცომაიამ „მეცხოველეობის კომპლექსური მექანიზაცია" და სხვ.

Ბ. ᲑᲝᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). ლაგვანთაში საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნა ახალი სასოფლო ბიბლიოთეკა, რომლის ფონდი 2500 ცალ წიგნს აღემატება.

ბიბლიოთეკის მუშაობას წარმართავს საბჭო, რომელსაც სოფლის აქტივისტი ბ. თაგვაძე ხელმძღვანელობს.

კაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

ᲒᲗᲮᲝᲕᲗ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გადავუხადოთ ყველა იმ დაწესებულებასა და პირს, ვინც მომილოცა ჩემი დაბადების სამოცი წლისთავი და შრომის ფითელი დროშის ორდენით დაჯილდოება.

Კ. Კ. ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲐᲓ

ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ. (საკ. კორ.). ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲯᲐᲛᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲜᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲠᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲡᲢᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲠᲐᲜᲔᲚᲘ ᲪᲘᲪᲮᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲝᲒᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲘᲒᲝᲠᲘ ᲪᲘᲪᲮᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲜᲛᲘᲜᲘᲡᲢ